

ევროპარდამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო

ევროპარდამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო. ანდრეი მამიკინის ანგარიშის საფუძვედზე მომზადებულ რეზოლუციას მხარი 638 დეპუტატიდან 491 –მა დაუჭირა, წინააღმდეგი კი – 84 დეპუტატი წავიდა, 63-მა თავი შეიკავა.

რეზოლუციაში სავარაუდოდ, რჩება მე-11 პუნქტი, რომელიც რუსეთთან დაკავშირებულ კრიტიკას ითვალისწინებს.

მე-11 პუნქტი რუსეთს მოუწოდებს, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას სრულად სცეს პატივი. ამავგე პუნქტში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით ევროპარდამენტი გამოხატავს რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ე.წ. შეთანხმებას და მას რუსეთის მიერ აფხაზეთის სრული ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

ასევე უცვლელია რეზოლუციის პროექტის მე-15 პუნქტის ტექსტი, სადაც აღნიშნულია, რომ ევროპარდამენტი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ სასამართლო სისტემის პოტენციურ გამოყენებასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.

ევროპარდამენტი ასევე, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.